

სპორტის განვითარების ხელშეწყობის

ღონისძიებები

ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის  
პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო

თბილისი

2017 წ.

## 1. პროგრამის აღწერა და მიზანი

### პროგრამის მიზანია :

- საქართველოში ძიუდოს განვითარების პროგრამა წარმოადგენს იმ აუცილებელი მიმართულებების რეალიზაციის გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში მაქსიმალური შედეგების მიღწევას.
- სასწავლო-საწვრთნელ პროცესში დასაქმებულ მწვრთნელ მასწავლებელთა საქმიანობაში თანამედროვე გამოცდილების დანერგვა.
- ყველა ასაკობრივ ჯგუფში მომეცადინე გოგონათა და ვაჟთა სასწავლო საწვრთნელი პროცესისა და საშეჯიბრო პრაქტიკის სრულყოფა.
- ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ინდივიდუალური პროგრამით მომზადებული სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მაღალ დონეზე ჩატარება.
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისა და რეაბილიტაციის სისტემის შემუშავება და ეროვნული, ასაკობრივი ნაკრები გუნდების სრული სამედიცინო უზრუნველყოფა.
- მცირე საცხოვრებელი ბაზის შექმნა ძიუდოს აკადემიის ბაზაზე და მისი გამოყენება სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების უზრუნველყოფად.
- სხვადასხვა ასაკობრივ საერთაშორისო ტურნირებზე, სალიცენზიო ასპარეზობებზე მაღალი შედეგების მიღწევა. ოლიმპიური თამაშებისათვის სრულყოფილ მზადება.
- 2017 წელს ქალაქ თბილისში დაგეგმილი გრან-პრის ტურნირისათვის მზადება და მაღალ დონეზე ორგანიზება, აქტიური მუშაობა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასთან შეჯიბრების სტატუსის მოსამატებლად.

### პროგრამის ძირითადი არსია :

- ძიუდოს განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ძიუდოს ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;
- ეროვნული ნაკრები გუნდისა და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის, ქალთა ნაკრებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა, აუცილებელი განვითარება და მათი ერთიან სისტემაში მოქცევა;
- საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებისა და სხვა მომსახურე პერსონალის სახელფასო ბაზის სრულყოფა.
- ძიუდოს შემდგომი წინსვლისათვის ხელშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება.
- საქართველოს ჩემპიონატისა და საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარება. ამ მიზნით ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების სახელფასო ბაზის სრულყოფა.
- საქართველოს ძიუდოისტთა სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდის წევრთა კიძანოების შეძენა და სრული სპორტული ეკვიპირება.
- სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში მონაწილეობა.
- ძიუდოს, როგორც წარმატებული სპორტის სახეობის პროდუქტის შექმნა, რომელიც მიზნობრივად იქნება ბიზნესისათვის, ინვესტიციების (სპონსორობის) განსახორციელებლად.
- საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ძიუდოში მიმდინარე პროცესებზე;

- ეროვნულ ჩემპიონატებზე მოწვეული უცხოელი მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება;
- მსაჯთა გამოცდებზე და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე მსაჯთა მივლინება.
- მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაცია და თანამედროვე მიმდინარეობის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების მოწყობა.
- მსაჯთა ატესტაცია და შიდა სემინარების ორგანიზება.
- ძიუდოს ქაძრების, დანებისა და კიუების მინიჭების სისტემის სავალდებულო შემოღება, მის შესაბამისად ასაკობრივ და ეროვნულ ჩემპიონატზე დაშვების სისტემის სრულყოფა.
- არსებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით საჯარო სკოლებში, ძიუდოს სპორტულ სკოლებში და კლუბებში მომეცადინეთათვის ძიუდოს სწავლების სათანადო ლიტერატურით, ვიდეო მასალით, საჭირო ინვენტარის შერჩევა-მიწოდებით დახმარება.

### პროგრამის ამოცანები:

- საქართველოში ძიუდოს პოპულარობის ამაღლება.
- საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ძიუდოში მიმდინარე პროცესებზე, ძიუდოს პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, ძიუდოს, როგორც წარმატებული პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის ინვესტიციების განსახორციელებლად.
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული, ახალგაზრდული, ჭაბუკთა, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა და ქალთა ნაკრები გუნდების ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული, ახალგაზრდული, ჭაბუკთა, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა და ქალთა ნაკრები გუნდების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის მომსახურების ანაზღაურება;
- სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში მონაწილეობა.
- ძიუდოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შექმნის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

## 2. პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება – 01.01.2017

დასრულება - 31.12.2017

## 3. საერთო ღირებულება

პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასიგნებების თანხა შეადგენს **3 400 000** ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

- საქართველოს ძიუდოს ეროვნული, ყველა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებების მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, ექიმების, მასაჟისტების, მენეჯერებისა და სხვა პერსონალის ანაზღაურება.
- საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ეგიდით დაგეგმილი ღონისძიებების, საქართველოს ძიუდოს ყველა ასაკობრივ ნაკრებებში ეროვნული ჩემპიონატისა, ერთობლივი შეკრებების და სარეიტინგო ტურნირების ჩატარების ხარჯების, მომსახურე პერსონალისა და მსაჯების ანაზღაურება.
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული და ასაკობრივი, ასევე ქალთა ძიუდოს ნაკრები გუნდების საწვრთნელი შეკრებებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯები.
- ძიუდოს პოპულარიზაციისკენ მიმართულ სხვადასხვა შეჯიბრებებში ქართული კლუბების მონაწილეობა.
- ძიუდოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- ძიუდოს პოპულარიზაციის მიზნით ფედერაციის ვებ-გვერდებისა და სატელევიზიო ტრანსლიაციების ტექნიკური აღჭურვა და მომსახურეობის უზრუნველყოფა.
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ხელშეწყობა, ამ მხრივ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და გამოცემა.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულის სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.
- ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდის საერთაშორისო ოფიციალურ და ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისთვის (გრან-პრი, გრან სლემი, მასტერსი, ევროპის თასი) მზადება და მონაწილეობა.
- ქვეყნის შიდა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ ოფიციალურ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობის მიღება.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულის სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.
- საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა შიდა ჩემპიონატებში მაღალი სპორტული მიღწევებისათვის;

#### **4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

#### **5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები**

##### **შედეგები:**

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები;

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

### **ინდიკატორები:**

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;